პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
—ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დიმიტრი არაყიშვილისა და ზაქარია ფალიაშვილის ქუჩებთან არსებული უსახელო სკვერისთვის ფრანგი პოლიტიკოსის და სახელმწიფო მოღვაწის რობერ შუმანის სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, დიმიტრი არაყიშვილისა და ზაქარია ფალიაშვილის ქუჩებთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს ფრანგი პოლიტიკოსის და სახელმწიფო მოღვაწის რობერ შუმანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

44.767495,41.708462



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ვაკის რაიონის გამგეობა
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
VAKE DISTRICT GOVERNMENT

წერილის ნომერი: **30-01242531311**
თარიღი: **09/09/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

16-032435337-03.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია
კომისიის თავჯდომარეს
ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად, გეგზავნებათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობაში გადმოგზავნილ განცხადებას (10/01242431484-01 30.08.2024), სადაც შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი" ითხოვს ფალიაშვილის ქუჩა 42-ის მიმდებარედ, გამწვანებული სივრცისთვის რობერ შუმანის სახელწოდების მინიჭებას.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული საკითხი თქვენი კომპეტენციის ფარგლებში და პასუხი აცნობოთ განმცხადებელს.

პატივისცემით,

დავით კვინიკაძე

ვაკის რაიონის გამგეობა-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი
საქართველო, 0179 თბილისი, ფალიაშვილის ქ.N 42
ROBERT SCHUMAN EUROPEAN SCHOOL LTD
42, Paliashvili str., Tbilisi, 0179 Georgia.www.rschuman-europeanschool.edu.ge
robertschuman2011@gmail.com tel.+995 32 2 223123;

N04-154

27 აგვისტო 2024 წ

თბილისის მერს
ბატონ კახა კალაძეს

რობერ შუმანის სახელობის ევროპული
სასწავლებლისდირექტორის
(მის.: ზ. ფალიაშვილის 42)

განცხადება

მოგმართავთ შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლიდან რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. ჩვენი სკოლა ქალაქის ცენტრში მდებარეობს. ქუჩები, რომლების სასწავლებლის შენობას ესაზღვრება(ფალიაშვილი, არაყიშვილი, აბაშიძე) დღის ნებისმიერ მონაკვეთში საკმაოდ გადატვირთულია ტრანსპორტით. დილის საათებში, ფაქტიურად შეუძლებელია სკოლის გარეშემო თავისუფალი ადგილის პოვნა და მანქანის გაჩერება, რაც საკმაოდ დიდ პრობლემას უქმნის, როგორც სკოლის პედაგოგებს, ისე მშობლებს. განსაკუთრებით პრობლემატურია უმცროსკლასელთა მშობლებისთვის, რადგან პატარებს დამოუკიდებლად უჭირთ ქუჩის გადაკვეთა, არადა აღნიშნულ ქუჩებზე რამდენიმე წუთით მანქანის შეჩერებაც კი შეუძლებელია. სამწუხაროდ, უკვე რამდენიმე ინციდენტს ქონდა ადგილი.
შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი წარმოადგენს ოთხი სკოლის გაერთიანებას, სადაც 300-ზე მეტი თანამშრომელია დასაქმებული. სკოლა მცირე ბიუჯეტურია და შესაბამისად პედაგოგების ხელფასი არც ისე დიდია, რომ მათ შესძლონ ყოველდღე გადაიხადონ 8 საათიანი პარკინგის საფასური.
მოგმარავთ თხოვნით, - სკოლის მიმდებარე ქუჩებზე სკოლის თანამშრომლებისთვის გამოყოთ მანქანის გასაჩერებელი მინ. 15 ადგილი და თავისუფალი ზოლი მშობელთა მანქანების რამდენიმე წუთიანი შეჩერებისთვის.

ასევე გვინდა გთხოვოთ, რომ მოწესრიგდეს სკოლის წინ მდებარე გამწვანების ზოლი. სამწუხაროდ, ეს ადგილი ხშირად დაბინძურებულია და ძაღლების მოსასაქმებელ ადგილადაა გადაქცეული, არადა სკოლიდან გამოსული პატარები ხშირად თამაშობენ ამ ტერიტორიაზე. რამდენიმეჯერ პატარებმა თავად ჩარგეს ხეები, ბუჩქები, ყვავილები, თუმცა ძაღლებისა და მათი პატრონების წყალობით ნარგავების მხოლოდ მცირე ნაწილიღა შემორჩა. ამასთან ერთად, საღამოობით სასწავლებლის მიმდებარედ (სკოლის შენობის კიბეზე, ბორდიურზე...) თავს იყრიან ახალგაზრდები, რომლებიც ტოვებენ ლუდის ქილებს, ალკოჰოლის ბოთლებს.

Programs:
e-mail: ani_zet@yahoo.de tel: +995 32 2250373
e-mail: ecole.brosset@yahoo.fr tel; +995 32 2251201
e-mail: modzgvari2005@mail.ru tel: +995 32 2290371
e-mail: stcolex@yahoo.fr tel:fax:+995 32 2233712

სასურველია, მწვანე ზოლი მოწესრიგდეს, სკვერს მიეცეს ცივილური სახე: შემოისაზღვროს, ჩაირგოს ნარგავები, დაიდგას ურნები.
სკოლის შენობის წინ მძიმე მდგომარეობაშია ასფალტის საფარიც, რაც სანიაღვრე ჭის მდგომარეობამ განაპირობა. ამჟამად ჭები გაიწმინდა. სასურველია ასევე თუ ასფალტი დაიგება და ევროპულ სტილზე ველოსიპედების სადგომი დამონტაჟდება, რაც მოსწავლეთათვის ჯანსაღი წესით ცხოვრების სტიმული იქნება
სასწავლებელი ევროპის გაერთიანების იდეის ავტორის რობერ შუმანის სახელს ატარებს. ჩვენთან ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატები, სენატორები, ელჩები, რომლებთან ერთობლივად ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები. სასურველია, აღნიშნული სკვერი რობერ შუმანის სახელობის გახდეს და დაიდგას მისი ბიუსტი.
იმედს ვიტოვებთ, რომ გაითვალისწინებთ ჩვენს თხოვნებს და ამ ტერიტორიას მალე ექნება ლამაზი, ცივილური იერ - სახე.

პატივისცემით
შპს რობერ შუმანის სახელობის
ევროპული სასწავლებლის დირექტორი:

404901406

/მარიამი გიორგაძე/

Programs:
e-mail: ani_zet@yahoo.de tel: +995 32 2250373
e-mail: ecole.brosset@yahoo.fr tel; +995 32 2251201
e-mail: modzgvari2005@mail.ru tel: +995 32 2290371
e-mail: stcolex@yahoo.fr tel:fax:+995 32 2233712

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032527318**
თარიღი: **30/09/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ქალბატონ ნინო ბაგაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ვაკის რაიონის გამგეობიდან გადმოგზავნილ 2024 წლის 09 სექტემბრის საქმე #16-032425337-03 დაკავშირებით, რომლითაც შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის დირექტორის მარიამ გიორგაძის მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილია ფალიაშვილის ქ.#42 მიმდებარედ არსებული სკვერისთვის რობერ შუმანის სახელის მინიჭება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ზაქარია ფალიაშვილისა დ დიმიტრი არაყიშვილის ქუჩების კვეთასთან არსებული უსახელო სკვერის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 6 (ექვსი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

რობერ შუმანი

(1886 - 1963)

ფრანგი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. 1946-1956 წლებში იყო საფრანგეთის მთავრობის წევრი, ევროინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ლავალის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი

რობერ შუმანი დაიბადა 1886 წლის 29 ივნისს ლუქსემბურგში. დამთავრებული ჰქონდა სტრასბურის უნივერსიტეტი, ბონის უნივერსიტეტი, ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი, ლუდვიგ მაქსიმილიანის მიუნხენის უნივერსიტეტი. იყო სახელმწიფო-რესპუბლიკური მოძრაობის პარტიის წევრი. 1919-1940 და 1946-1962 წლებში იყო ეროვნული კრებების, ხოლო 1945-1946 წლებში დამფუძნებელი კრების დეპუტატი. 1946-1947 წლებში იყო საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი. 1947-1948 წლებში იყო საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი. 1948-1953 წლებში იყო საგარეო საქმეთა მინისტრი. 1951 წელს მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება. 1955-1956 წლებში იყო იუსტიციის მინისტრი.

ცნობილია „შუმანის დეკლარაცია". ეს არის საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რობერ შუმანის წინადადება საფრანგეთისა და გერმანიის ქვანახშირის, სამთო და მეტალურგიული მრეწველობების გაერთიანების შესახებ. პროექტის განხორციელება დაიწყო 1951 წელს, როდესაც შეიქმნა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ნიდერლანდების, ბელგიის, ლუქსემბურგის მონაწილეობით.

ევროპის დღე, რომელიც ყოველწლიურად 9 მაისს აღინიშნება, ეძღვნება საფრანგეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის რობერტ შუმანის 1950 წლის დეკლარაციას, საიდანაც იღებს სათავეს ის, რასაც ჩვენ დღეს ევროკავშირს ვუწოდებთ. თავად რობერ შუმანი ევროკავშირის ერთ-ერთ მამამთავრად მიიჩნევა.

გარდაიცვალა 1963 წლის 4 სექტემბერს.